მეორე ფრონტი - კოვიდის ფენომენიდან მსოფლიო საინფორმაციო ომამდე

ნანა დოლიძე

საკვანძო სიტყვები: *საინფორმაციო ომი, მედიატექნოლოგიები, რუსეთ-უკრაინა, პანდემია, მეორე ფრონტი, ციფრული ომი, სოციალური ქსელები, მედიის დღის წესრიგი, ტელეგრამი*

2020 წლიდან 2022 წლამდე კაცობრიობა გლობალური პანდემიიდან - გლობალურ საინფორმაციო ომში ჩაერთო, ფეისბუქიდან - ტელეგრამში გადაინაცვლა, ტელეგრამით მიღებული გზავნილებით ფეისბუქის ადგილობრივ მომხმარებლებში საზოგადოებრივი აზრი შეიქმნა და ციფრულ მედიაში არსებული გამოწვევები საზოგადოების თითოეული წევრისთვის გლობალურ საფრთხედ აქცია.
კოვიდის ფენომენმა შეცვალა მსოფლიო ადამიანის დამოკიდებულება ინფორმაციისადმი და ერთგვარად შეამზადა იმ საინფორმაციო ომისთვის, რომელიც 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინას შორის დაიწყო. სოციალური მედია აღმოჩნდა ის ბრძოლის ველი რომელიც ინფორმაციის გავრცელების უპრეცედენტო სისწრაფით გამოირჩეოდა და მიმდინარე ომის თანამონაწილეს გახდიდა. „ჰიბრიდული ომის“ რუსულ თეორიაში, „ახალი თაობის ომის“ ბრძოლის ველი, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს არა 3, არამედ 4 სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე, რომელშიც აქტივობა „ახალი თაობის ომის“ ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. მიზნის მისაღწევი არასამხედრო მოქმედებები, ცვლის თანამედროვე მსოფლიოში ომის წესებს და თავად ბრძოლის ველს. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ საინფორმაციო არხებით შესაძლებელს ხდის „წარმატებული სახელმწიფოც კი რამდენიმე თვეში ან დღეში შეიარაღებული კონფლიქტის არენად იქცეს“ და უფრო მეტიც, კონფლიქტში ჩართულმა მხარემ სხვა სახელმწიფოში გახსნას მეორე ფრონტი, შექმნას რა გრავიტაციის ცენტრად ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია.
როგორ აღმოჩნდა მეორე ფრონტის წინა ხაზზე, მესამე სახელმწიფო საინფორმაციო ომის „ვირუსის“ წინაშე? როგორ შეასრულა „პირბადის“ დამცველობითი ფუნქცია სამკურნალო გაიდლაინმა - „აბა, ომი გინდათ?“ და როგორი არის საინფორმაციო ომის მედია დღის წესრიგი?

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა კორონავირუსის ეპიდემია გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. სამყარო ონლაინ რეჟიმზე გადავიდა და ციფრულ თავშესაფარში გადაიტანა ცხოვრების წესი, პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ყოველდღიურობა. ფიზიკური განადგურების შიშით შეპყრობილი კაცობრიობა ვერ ბედავდა სახლიდან (ონლაინ) გარეთ (ოფლაინ) გასვლას. მატერიალური სამყაროს წარმომადგენელი ადამიანი ციფრულ მოქალაქედ იქცა. ცვლილებები შეეხო ყველას და ყველაფერს, ადამიანთშორისი ურთიერთობებიდან დაწყებული, გლობალური კომუნიკაციებით დასრულებული. 2020 წელს ვერავინ იფიქრებდა, რომ პანდემიურ კიბერსივრცეში შეძენილი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები ერთგვარი შემზადება იქნებოდა იმ მეორე ფრონტისთვის, სადაც ციფრული მოქალაქე ციფრულ მებრძოლად გადაიქცეოდა. კორონავირუსით გამოწვეული პანდემია 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადებულმა „სპეციალურმა სამხედრო ოპერაციამ“, ანუ პირველმა გლობალურმა საინფორმაციო ომმა ჩაანაცვლა. „უცნობი ვირუსის“ საფრთხე, ასევე, მანამდე მისთვის „უცნობმა ომის“ საფრთხემ ჩაანაცვლა, გაცილებით საშიშმა და არაპროგნოზირებადმა.

„არასდროს გვინახავს პანდემია, რომელიც შეიძლება ამავე დროს გაკონტროლდეს"[1] – განაცხადა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა კოვიდთან დაკავშირებით და სამყარომ კონტროლის მექანიზმები გაიდლაინების სახით დაგეგმა. სტანდარტული გაიდლაინების სისტემამ მოითხოვა მოქალაქისგან ციფრული უნარ-ჩვევების გამომუშავება და ონლაინზე ადაპტირება. „გადარჩებოდა" ის, ვისაც ინფორმაციაზე წვდომა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ ინფორმაცია გახდა ის აუცილებელი ღირებულება, რომლის მოპოვების გარეშეც მოქალაქე „უსაფრთხო" კონტროლირებად გარემოში არ დაიშვებოდა. ვებსერფინგის გამომუშავეული ეს უნარ-ჩვევები, ერთგვარი „პირბადის" ფუნქციის შემსრულებელი აღმოჩნდა დღეს მიმდინარე საინფორმაციო ომში, ომში რომელიც 2022 წელს რუსეთმა უკრაინას „გამოუცხადა", ომი რომლისთვისაც გეოგრაფიული საზღვრები მთელ მსოფლიოზე განიფინა. საბრძოლო მოქმედებები „ლაივში", მსოფლიო ადამიანი დამკვირვებლის, მონაწილის და მებრძოლის როლში აღმოჩნდა, ბრძოლის ველი კი ომში მონაწილე ქვეყნის ტერიტორიის პარალელურად ციფრულ სამყაროშიც გადავიდა. სამყარო კვლავ დილემის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა უკვე შეჩვეული და ერთგვარად შემზადებულიც კი. სოციალური მედიის დანაღმულ ველზე ვირუსის ფუნქციას „დეზინფორმაცია" ასრულებდა, ხოლო გადარჩენისთვის შექმნილი გაიდლაინის ფუნქციას – „ნაღმის" ადგილსამყოფელის წინასწარი განსაზღვრა და მისი განეიტრალება.

კოვიდის ფენომენმა შეცვალა მსოფლიო ადამიანის დამოკიდებულება ინფორმაციისადმი და ერთგვარად შეამზადა საინფორმაციო ომისთვის, სადაც სოციალური მედია ინფორმაციის გავრცელების უპრეცედენტო სისწრაფით და მასზე გლობალური წვდომით მიმდინარე ომის თანამონაწილეს გხდის. მაგრამ, თუ პანდემია კონტროლირებად მართვას და დაგეგმვას ექვემდებარებოდა, საინფორმაციო ომი არაკონტროლირებადი და თავისუფალი ქმედებებისთვის ღია აღმოჩნდა. ციფრულ საინფორმაციო ომში, ახალი ამბების ნაკადის სისწრაფე ფაქტების გადამოწმებისთვის დროს არ ტოვებს, „წყაროს სანდოობის" მოთხოვნაც კარგავს ტრადიციულ გაგებას და ბოლომდე კონფიდენციალურობას ინარჩუნებს.

„ჰიბრიდული ომის" რუსულ თეორიაში, ე.წ. „გერასიმოვის დოქტრინაში" აღწერილია „ახალი თაობის ომის" ბრძოლის ველი, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს არა 3, არამედ 4 სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე, რომელშიც აქტივობა „ახალი თაობის ომის" ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. თანამედროვე მსოფლიოში ომის წესები შეიცვალა, მიზნის მისაღწევი არასამხედრო მოქმედებების ხასიათიც და თავად ბრძოლის ველიც. საინფორმაციო არხებით შესაძლებელი ხდება პოლიტიკური, ეკონომიკური ზეწოლით „წარმატებული სახელმწიფოც კი რამდენიმე თვეში ან დღეში შეიარაღებული კონფლიქტის არენად იქცეს"[2] და უფრო მეტიც, კონფლიქტში ჩართულმა მხარემ სხვა სახელმწიფოში გახსნას მეორე ფრონტი, შექმნას რა გრავიტაციის ცენტრად ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია.

ასე აღმოჩნდა მეორე ფრონტის წინა ხაზზე მესამე სახელმწიფო (საქართველო).

როგორ გავრცელდა საინფორმაციო ომის „ვირუსი" ომში არაჩართულ სახელმწიფოში?

და შეასრულა თუ არასაზოგადოებისთვის სამკურნალოდ გამოწერილმა გაიდლაინმა „აბა, ომი გინდათ?" „პირბადის" დამცველობითი ფუნქცია?

2020 წლიდან 2022 წლამდე კაცობრიობა გლობალური პანდემიიდან – 2022 წლის 24 თებერვლიდან გლობალურ საინფორმაციო ომში ჩაერთო, მათ შორის საქართველოც. ქართველმა ინტერნეტ მომხმარებელმა „ფეისბუქიდან" – „ტელეგრამში" გადაინაცვლა. ადგილობრივი მომხმარებელი ტელეგრამით მიღებული გზავნილებით, ფეისბუქის მომხმარებლებში საზოგადოებრივ აზრს ქმნიდა და ქართული საზოგადოების თითოეულ წევრამდე მიჰქონდა ციფრულ მედიაში გაჟღერებული გამოწვევები. სინამდვილე მართლაც მრავალმხრივია და ერთსა და იმავე მოვლენას ათასობით ინტერპრეტაცია შეიძლება გააჩნდეს, განსაკუთრებით თუ ისეთ სერიოზულ თემებზე გვიწევს მსჯელობა, როგორიც ომია, სადაც კონფლიქტში ჩართულ მხარეებს საკუთარი თვალსაზრისი და

1 ჩოხელი, რუხაძე, კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა, 2020.

2 ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში, 2017.

განსხვავებული მიზნები გააჩნიათ. სწორედ ამ განსხვავებულ ხედვებსა და მიზნებში იბადება თანამედროვე საინფორმაციო ომი.

თანამედროვე სამყაროში შექმნილმა რეალობამ, ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, ინფორმაციის მიღების გამარტივებამ და მედიამ, ყველამ ერთდროულად და ცალ-ცალკე ახალი მოთხოვნები წამოუყენა დღევანდელ მსოფლიოს. ამ მოთხოვნებზე საპასუხოდ კი ცვლილებები გარდაუვალი იყო. შეიცვალა არა მხოლოდ ყოველდღიურობა, არამედ, ომის ლოგიკა და ის, რომელ თეორიასაც იყენებდნენ საბრძოლო მოქმედებების წინასწარი დაგეგმვის დროს, ახლა საჭირო აღარ არის.

როგორც ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსი ფრენკ ჰოფმანი წერს – „ჰიბრიდული ომი წარმოადგენს სახელმწიფო კონფლიქტების ლეტალურობისა და ფანატიკური, გაწელილი არატრადიციული ომის წარმოების ნაზავს". თავის ნაშრომში „ჰიბრიდული ომი და გამოწვევები" (Hoffman, F.G. Hybrid Warfare and Challenges) ის ამბობს, რომ მომავალ ომებში ტრადიციული და არატრადიციული საბრძოლო მოქმედებები გაერთიანებული იქნება. სწორედ ამის წყალობით ვნახავთ ტრადიციული კონფლიქტისთვის დამახასიათებელი ლეტალურობისა და არარეგულარული ბრძოლის ფანატიზმის შერწყმას.[3]

ჰიბრიდული ომი თანამედროვე სამყაროს სახეა: განვითარებული, გამარჯვებისთვის ყველაფერზე წამსვლელი, ფიქრსა და არჩევანის სწრაფ შედეგზე ორიენტირებული. „როდესაც აბსოლუტური უპირატესობის მოპოვება შეუძლებლია, თქვენ უნდა მიაღწიოთ ფარდობით უპირატესობას გადამწყვეტ წერტილებში, იმის გამოყენებით, რაც გაქვთ" – წერს კლაუზევიცი თავის ნაშრომში „ომის შესახებ".[4] თუ მის ნათქვამზე დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ჰიბრიდული ომის დროს მნიშვნელოვანი ტექნიკის, ჯარის ძლიერებისა და გონიერების შერწყმაა, რადგან ჰიბრიდული ომი არასტანდარტულ გარემოში მიმდინარეობს.

საინფორმაციო ომი ჰიბრიდული ომის მხოლოდ ნაწილია და მისი სამიზნე გონებაა. ის საბრძოლო მოქმედებების პარალელურად მიმდინარეობდა და დიდი ხნით ადრე დაიწყო, სანამ რუსეთის ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყებოდა. მათ შორის 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის და ყირიმის ანექსიის პერიოდშიც გამოიყენა, როდესაც ტროლების ფაბრიკის დახმარებით საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება დაიწყო. 2022 წლის იანვარში დასავლეთმა განგაში ატეხა უკრაინის მისამართით რუსეთის მხრიდან წამოწყებული დეზინფორმაციული პროპაგანდის შესახებ. ნათელი იყო, რომ რუსეთი საინფორმაციო პლაცდარმის წანამძღვარს ქმნიდა უკრაინაში საომარი მოქმედებების დასაწყებად, მაგრამ ის შეუმზადებელი აღმოჩნდა უკრაინული კონტრპროპაგანდის წინაშე.

რუსეთმა არჩევანი საინფორმაციო ფრონტის გასახსნელად ტრადიციულ მედიაზე – ტელევიზიაზე შეაჩერა, იმაზე, რაც ნაკლებ პოპულარულია თანამედროვე სამყაროში, თუმცა მარტივად კონტროლირებადი, თუ ალტერნატიული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას შეზღუდავ.

2022 წლის 24 თებერვალს, როსკომნადზორმა (Роскомнадзор – Федеральная служба по надзору в сфере связи, информационных технологий и массовых коммуникаций) ოფიციალურად მოსთხოვნა მედიასა და საინფორმაციო რესურსებს უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოქვეყნება, „გამოეყენებინათ მათ მიერ მიღებული ინფორმაცია და მონაცემები მხოლოდ ოფიციალური რუსული წყაროებიდან",[5] 4 მარტს კი ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სისხლის სამართლის სასჯელის სახით სამხედრო ოპერაციებში რუსეთის შეიარაღებული ძალების ქმედებების შესახებ „არაზუსტი ინფორმაციის" გავრცელებისთვის.[6]

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მოთხოვნის შესაბამისად, Роскомнадзор- მა დაბლოკა 1500-ზე მეტი ვებგვერდი, შეიზღუდა წვდომა

3 აბულაძე, „კონფლიქტის ახალი ფორმა – ჰიბრიდული ომი", 2016.
4 ანთაძე, „ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის", 2020.
5 Новости Роскомнадзора Вниманию средств массовой информации, 24.02.2022.
6 Пашкова, „Путин подписал закон", 2022.

სოციალურ ქსელებზე Facebook, Twitter და Instagram.[7]

რაც მეტად დაიხურა რუსეთის საინფორმაციო ველი, მით მეტად გახსნა ინფორმაციაზე წვდომა უკრაინულმა მხარემ, უფრო მეტიც, წინააღმდეგობის ფრონტი მრავალენოვანი გახადა, რამაც გლობალური მასშტაბით ხელმისაწვდომი გახადა უახლესი ინფორმაცია ფრონტის ხაზიდან. უკრაინამ ონლაინ პლატფორმები გამოიყენა – ტელეგრამი, ტიკ-ტოკი, Facebook, Twitter, და არა მხოლოდ გამოიყენა, არამედ ხშირ შემთხვევაში ფუნქციაც შეუცვალა (იგივე ტიკ-ტოკს გართობის სანაცვლოდ, საინფორმაციო ფუნქცია დააკისრა). ციფრულ სამყაროში ძირითადად ბრძოლის ველად Telegram გამოცხადდა, სადაც ინფორმაციის დახარისხება ან ფეიქების კონტროლი ვერ ხდება და რომელიც მოვლენის მიმდინარეობასა და ინფორმაციის მიწოდებას შორის დროისმიერ საზღვარს შლის. რატომ Telegram? – ეს ის პლატფორმაა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. ამიტომ, რუსეთში ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ აპლიკაციად იქცა და სადაც არაერთმა რუსულენოვანმა საინფორმაციო საშუალებამ დაიდო ბინა. სწორედ, ეს ტერიტორია დაიკავეს უკრაინელებმა და სწორად წარმართული კომუნიკაციით შეძლეს „წინააღმდეგობის ფრონტი" გაეხსნათ ყველა წამყვან Telegram არხზე.

რამ განსაზღვრა სოციალური ქსელების სხვა მედიასაშუალებებთან შედარებითი უპირატესობა? და რატომ გახდა მიმდინარე ომში ის პოლიტიკური მობილიზაციისა და პროპაგანდის ყველაზე ეფექტური მექანიზმი?

შეგვიძლია რამდენიმე კომპონენტი დავასახელოთ: ინფორმაციის ლაკონურობა – მესიჯი მთავარის შესახებ (ერთი ან ორი წინადადებით), ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე – სიმულტანურობა, შეუზღუდავი ინფორმაციის წყარო – წყაროდ შეიძლება იქცეს ნებისმიერი, ვისაც მინიმალური ტექნიკური შესაძლებლობები გააჩნია (მაგ.: ინტერნეტში ჩართული ტელეფონი), საინფორმაციო ფილტრების არარსებობა, ინტერაქტიურობა, ემოციონალურობა – თვითგამოხატვის, თანამონაწილეობის შესაძლებლობა.

თუ ტრადიციული მედიები – გაზეთები, ჟურნალები, რადიო, ტელევიზია ძირითადად მონოლოგურ რეჟიმს გულისხმობს, ინტერნეტ-სივრცე ადამიანს მოვლენათა თანამონაწილედ აქცევს; ქსელები უპირველესად მოითხოვს მომხდართან დაკავშირებით ადამიანური დამოკიდებულების გამოხატვას, რომელიც უმარტივეს ქმედებებში ვლინდება: მოწონებებში, რეპოსტებში, დაწკაპუნებები და კომენტარები (საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა). თუმცა, სწორედ ეს სიმარტივე ქმნის ამ მოვლენაში ჩართვის, თანამონაწილეობისა და თანაგანცდის ილუზიას.

მეორე გარემოება, რომელიც სოციალურ ქსელებს მობილიზაციის საშუალებად აქცევს, განპირობებულია იმით, რომ სოციალურ ქსელებში ინფორმაცია შეკუმშულია – დაყვანილია მესიჯამდე, მნიშვნელოვანი აღიქმება მარტივად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, დროის მინიმალური დახარჯვით. ამასთან, გეძლევა შესაძლებლობა „სამზარეულოში" მყოფმა, საკუთარი მნიშვნელოვნება გაზარდო, თვითშეფასება აიმაღლო, გლობალური მნიშვნელობის მოვლენებზე იმსჯელო, ერთგვარ მრჩევლად ან ექსპერტად იქცე. „პასუხი" მხოლოდ პასუხი არ არის, არამედ რეაქციასაც გულისხმობს, განწყობის გადაცემის შესაძლებლობას, ემოციურს, პირდაპირს და ხშირად აგრესიულსაც კი. სოციალურ ქსელებში მცხოვრები მასობრივი ადამიანი ხდება პროპაგანდის მთავარი სამიზნე, მოკლე და ხმაურიანი ინფორმაციის სტილი აიძულებს ამ პროპაგანდაზე აქტიური რეაქციისკენ, ათავსებს ლაიქებს, წერს კომენტარებს, უკრაინის დროშის ფერებში აფერადებს „კედელს".

იქმნება აქტიური პოზიციის ილუზია, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის სამობილიზაციო პროპაგანდისთვის, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ომებს, მათ შორის საინფორმაციო ომებს. სოციალური ქსელები სამობილიზაციო პროპაგანდის ეფექტურ ველად იქცევა იმის გამოც, რომ ოპონენტებს შორის მანძილი ქრება, პირობითი მტერი შენთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ოდესმე.

„ომები შეიძლება მოიგო ბრძოლის ველზე, მაგრამ წააგო ადამიანების ცნობიერებაში. საინფორმაციო ომები კაცობრიობის მთელ ისტორიას სდევს თან. თავდაპირველად ეს რელიგიური და ოდეოლოგიური ომები იყო განსხვავებული აზრის მატარებლის მისა-

7 С начала войны Роскомнадзор заблокировал более 1500 сайтов, 2022.

მართით რეპრესიების ყველა ტიპის და სახეობის გამოყენებით“ – აღნიშნავს პოჩეპცოვი.[8]

როგორია საინფორმაციო ომის დღის წესრიგი, რომლის მიზანიც ლოგიკური გამარჯვებისთვის საზოგადოებრივი აზრის მომზადებაა და მისი ფორმირება მთავარ ღირებულებათა ჯაჭვის ფორმულაზე გადის:

1. **ტელეგრამი** – სოციალური ქსელი, როგორც ბრძოლის ველი, სადაც „მებრძოლი“ სოციალური ქსელის ნებისმიერი მომხმარებელია (კორესპონდენტი ფრონტზე ჩაანაცვლა ტელეგრამის ნიუსმა);
2. **მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა – მობილიზების ეფექტი – მედიასაშუალებებით აუდიტორიის გაფართოება ერთი მიზნის, გამარჯვების ირგვლივ** – როდესაც ციფრული საზოგადოება ზემოქმედებს გადაწყვეტილებების მიღებაზე – უკრაინის მხარდამჭერი მრავალათასიანი მიტინგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მსოფლიო ლიდერები და ქვეყნები უკრაინის მხარდასაჭერად ფრონტის წინა ხაზზე, ევროკავშირის გადაწყვეტილება დაეხურა საჰაერო სივრცე და ისტორიაში პირველად, იარაღიც კი მიაწოდა უკრაინას, მსოფლიო საზოგადოების მობილიზება იარაღითა და ჰუმანიტარული ტვირთებით უკრაინის დასახმარებლად;
3. **შექმენი საფრთხე არა მიზნის გადასაფარად, არამედ მიზნის მისაღწევად, რომ არ იომო მარტომ და მხოლოდ შენი რესურსით** – ამგვარ მესიჯს მოიცავდა უკრაინის პრეზიდენტ ვ.ზელენსკის თითოეული გამოსვლა როგორც მსოფლიო ლიდერებისადმი, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისადმი – ომი როგორც მუქარა მსოფლიო ცივილიზაციის, ევროპული ღირებულებების, ატომური საფრთხის, თუ აქ არ შევაჩერებთ ხვალ თქვენამდე მოვა;

   საქართველოში ამგვარ გზავნილზე პასუხად იქცა მესიჯი „აბა ომი გინდათ?“;
4. **პოლიტიკური ლიდერის სახალხო ლიდერად ტრანსფორმირება მედია ტექნოლოგიების გამოყენებით** – ზელენსკი – როგორც ტიკტოკის ჩერჩილი, სახალხო ლიდერი (ასე მონათლა პუბლიციტმა ჯეფრი სალკინმა უკრაინის პრეზიდენტი),[9] კომუნიკაცია გათვლილი თითოეულ მოქალაქეზე, ყოველდღიური მიმართვა საზოგადოებას, საერთაშორისო გზავნილები ორგანიზაციებს და აღმასრულებელ ხელისუფლებას – შეტყობინება დაყვანილი რამოდენიმე სიტყვამდე, მოკლე, დასამახსოვრებელ ფრაზებამდე, რომელთსაც მედია ციტირებისთვის იყენებს და ეს მესიჯები არა მხოლოდ უკრაინელებისთვის არის, არამედ მან იცის, რომ მას მსოფლიო უსმენს;
5. **ადამიანური ისტორიები – რომლებიც ყველას გვეხება (ბავშვები, ქალები, ცხოველები)** 6 წლის დაღუპული საშა, რომელსაც მთელი უკრაინა ერთი თვის მანძილზე ეძებდა, სამშობიაროს დაბომბვის და ფეხმძიმე ქალის ისტორია, ხარკოვის ბავშვთა სახლი, ალყაში მოქცეული მარიუპოლი, თეატრის დაბომბვა, ბუჩას ტრაგედია.
6. **გმირობა** – კიევის აჩრდილი, „რუსსკი კორაბლ“, აზოვსტალის მეომრები;
7. **გამოცხადებული კიბერომი და კიბერუსაფრთხოება** – „ანონიმუსი“ – მათი სახელია ლეგიონი – სიმართლის სახელით მოქმედი, რობინ ჰუდის ფილოსოფიის მატარებელი – კიბერსაზოგადოება, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ჰაკერებს აერთიანებს.

ანონიმურმა ჰაკერებმა გაავრცელეს 120 000 რუსი სამხედრო მოსამსახურის პირადი მონაცემები. ყველა ეს ჯარისკაცი მონაწილეობს რუსეთსა და უკრაინას შორის ომში.

პრორუსული ჰაკერული ჯგუფის Killnet-ის წევრების ელექტრონული ფოსტის მისამართები. მილიონზე მეტი მაღალი ხელისუფლების წარმომადგენლის წერილი, კრემლისა და სახელმწიფო ორგანიზაციების ვებგვერდები, გაზპრომი,

რუსული საინვესტიციო კომპანიების 365 000 წერილი, დაქირავებული ჯაშუშების სიები. ცენტრალბანკი, საზოგადოებრივი კამერები და ა. შ. და უფრო მეტიც, გაავრცელეს მიმართვა, სადაც თავად საზოგადოებას ეკითხებოდნენ, თუ რომელი ობიექტი თუ პერსონა გაეხადათ შემდგომ სამიზნედ;

8 Почепцов, Информационные войны, 2000.

9 Сигал „Український Вінстон Черчилль“, 2022.

8. **დისკრედიტაციის მიზნით ირონიის გამოყენება** – შარჟი – ბელორუსიის ლიდერ ლუკაშენკოზე, რომლის ციტატაზე „Я сейчас вам покажу, откуда на Беларусь готовилось нападение…“ შექმნილი მიმები, გიფები ტიკ-ტოკის, ტელეგრამისა თუ ფეისბუქის უპირობო ლიდერებად იქცა (მათმა რაოდენობამ დაახლოებით 2 500 ერთეულს გადააჭარბა).

Тик ток – როგორც მამხილებელი და მითების მსხვრეველი – უძლეველი კადიროველების ტიკტოკერების არმიად გადაქცევა; დაუმარცხებელი რუსული არმიის მოროდიორებად, სარეცხი მანქანების ქურდებად წარმოჩენა; უძლეველი არმიის მითის მსხვრევა ამორტიზებული საომარი ტექნიკით, ჯართით შეიარაღებული და ვადაგასული საკვებით მომარაგებული.

მსოფლიო მედია დღეს ომშია და იქნება იმ დრომდე, სანამ არ დამთავრდება თავად ომი. როგორც რუსეთის პრეზიდენტ ვლ. პუტინის მთავარმა მედია იდეოლოგმა ვლადიმერ სალავიოვმა გადაცემაში აღნიშნა: „ჩვენ აღარსად აღარ ვართ. საინფორმაციო ომი პირწმინდად წავაგეთ, წესიერად ტყუილიც კი ვერ შევძელით. სჯობს, თავი დავანებოთ ამ ყველაფერს, მივხედოთ ეკონომიკას, დავბრუნდეთ შინ, რათა თავად რუსეთში არ მოხდეს უკმაყოფილების მუხტის გაძლიერება“.[10]

თუმცა, ომი მედიის დღის წესრიგში კვლავ აქტუალურია, მე-4 ველზე ის ჯერ არ დასრულებულა და არ დასრულდება მანამ, სანამ დანარჩენ სამ სივრცეში – ხმელეთზე, წყალზე და ჰაერში არ დასრულდება. და თუ კოვიდპანდემია კონტროლს ექვემდებარებოდა, ციფრულმა ომმა დაგვანახა, თუ როგორი მყიფეა ის ციფრული გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ და ვომობთ, სადაც არასდროს ჩანს გადაწყვეტილების მიმღები, სადაც ციფრული მოქალაქე ციფრულ ჯარისკაცად იქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე ა., „კონფლიქტის ახალი ფორმა – ჰიბრიდული ომი“, http://yata.ge/ge/?p=691, 2016.
- ანთაძე გ., „ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის“, https://www.geocase.ge/media/223/Hybrid-War_G.-Antadze.pdf, 2020;
- ჩოხელი ქ., რუხაძე თ., ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. https://1tv.ge/news/jandacvis-msoflio-organizaciam-akhali-koronavirusi-pandemiad-gamoackhada/, 11.03.2020;
- ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში, http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/, 2017;
- Соловьев В. Р., Мы проиграли войну даже врать нормально не можем, https://www.youtube.com/watch?v=6nRie-xUCRY&t=62s, 2022;
- Сигал Е., „Український Вінстон Черчилль“, https://forbes.ua/inside/ukrainskiy-vinston-cherchill-yak-zelenskomu-vdaetsya-govoriti-tak-shchob-yogo-slukhav-ves-svit-06032022-4257, 2022;
- Пашкова Л., „ Путин подписал закон о наказании за фейки о действиях вооруженных сил“, 2022
- Новости Роскомнадзора „Вниманию средств массовой информации и иных информационных ресурсов“, https://rkn.gov.ru/news/rsoc/news74084.htm , 24.02.2022;
- Почепцов Г.Г. Информационные войны, http://ligis.ru/librari_2/049/contents.html, 2000;
- С начала войны Роскомнадзор заблокировал более 1500 сайтов, https://www.svoboda.org/a/s-nachala-voyny-roskomnadzor-zablokiroval-bolee-1500-saytov/31781773.html, 2022.

10 Соловьев, мы проиграли войну, 2022.

THE SECOND FRONT – FROM THE PHENOMENON OF COVID19 TO THE GLOBAL INFORMATION WAR

Nana Dolidze

Keywords: *information war, media technologies, Russia-Ukraine, pandemic, second front, digital war, social networks, media agenda, Telegram*

From 2020 to 2022, humanity has moved from a global pandemic to a global information war, from Facebook to Telegram, public opinion formed by local Facebook users through Telegram messages, global threats, and challenges in digital media.
The Covid phenomenon has changed the human attitude toward information and somehow pre-pared it for an information war, where social media, with its unprecedented speed of information dissemination and global access, makes you an accomplice to the current war.
In the Russian theory of "the hybrid war", the so-called Gerasimov Doctrine describes the battlefield of the "New Generation War", where the fighting takes place not in 3, but in 4 spaces: on land, in the air, at sea and in the information field, in which activity is one of the main tools of the "new generation war". Achieving non-military action changes the rules of war in the modern world and the battlefield itself. Political, economic or news channels make it possible for "even a successful gov-ernment to become an arena of armed conflict in a few months or days." Moreover, the party to the conflict should open a second front in another state, creating the position of the local population as the center of gravity. How did it find itself on the front line of the Second Front, facing the "virus" of the Third Governmental Information War? How did the medical guideline "Do you want a war?" Fulfill the protective function of "a mask"? and what is the media agenda of the information war?

On March 11, 2020, the director of the World Health Organization declared the coronavirus epidemic as a global pandemic. The world has gone online, bringing lifestyle, politics, economics, culture and everyday life into a digital haven. Obsessed with the fear of physical destruction, humanity did not dare to leave the house (online), outside (offline). A person representing the material world has become a digital citizen. Changes have affected everyone and everything, from interpersonal relationships to global communications. In 2020, no one would have thought that the communication skills acquired in the pandemic cyberspace would be a kind of preparation for the second front, where the digital citizen would turn into a digital warrior. The pandemic caused by the coronavirus was replaced by the "special military operation" announced on February 24, 2022, or the first global information war. Fearing impending death from an unknown virus, a society that had been hiding in a digital shelter with a changed lifestyle, was again faced with the threat of physical destruction and remained in the shelter in fear. The threat of an "unknown virus" was also replaced by the "unknown war" threat, much more dangerous and unpredictable.

"We have never seen a pandemic that can be controlled"[1] – said the director of the World Health Organization regarding Covid, and the world has planned control mechanisms in the form of guidelines. By implementing a unified mechanism of digital data monitoring and control, the system of standard guidelines was equal to all – representatives of a social or political group, regardless of skin color, gender or age. The mentioned system required citizens to develop digital skills and adapt to online. The one who had access to information would "survive", since it was information that became the nec-

1 Chokheli, Rukhadze, The World Health Organization has declared the new coronavirus a pandemic. 11.03.2020.

essary value that would allow a citizen to be in a "safe" controlled environment. These skills developed by web-surfing turned out to be a kind of "mask" in the current information war, a war that Russia "declared" to Ukraine in 2022, a war for which geographical boundaries were defined all over the world. In "live" combat operations, people of the world found themselves in the role of observer, participant and fighter, and the battlefield moved to the digital world alongside the territory of the country participating in the war. The world was once again faced with a dilemma, although it was already accustomed and even prepared in a way. In the minefield of social media, the function of a virus was performed by "disinformation", and the function of a guideline created for survival, determining the location of the "mine" in advance and neutralizing it.

The phenomenon of Covid has changed the world's human attitude towards information and in a way prepared for an information war, where social media with its speed of spreading information and global access to it, makes you an accomplice of the ongoing war. But, if the pandemic was subject to controlled management and planning, the information war implies the involvement of uncontrolled, multi-temporal, if penetrating players, planning and free action, the participation of units, groups, structures or states interested in information battles. In the digital information war, the speed of the news flow leaves no time for fact-checking, and the requirement of "source credibility" loses its traditional meaning and remains completely confidential.

In the Russian theory of "hybrid war", the so-called The "Gerasimov Doctrine" describes the battlefield of the "new generation war", where combat operations take place not in 3, but in 4 spaces: on the land, in the air, in the sea and in the information field, in which activity is one of the main tools of the "new generation war".[2] In the modern world, the rules of war have changed, the nature of non-military actions to achieve the goal, and the battlefield itself. Through information channels, political and economic pressure becomes possible, "even a successful state can become an arena of armed conflict in a few months or days" and moreover, the party involved in the conflict can open a second front in another state, creating the position of the local population as the center of gravity.

How did the third state (Georgia) end up on the front line of the second front?

How did the "virus" of information warfare spread in a state not involved in the war?

And did the guideline prescribed for non-community treatment "Well, do you want war?" fulfill the protective function of "personality"?

From 2020 to 2022, humanity has been involved in a global information war since February 24, 2022, including Georgia. The Georgian Internet user moved from "Facebook" to "Telegram". The local user created a public opinion among Facebook users with the messages received by telegram and brought the challenges voiced in the digital media to every member of the Georgian society. turned into a global threat.

There is no such thing as historical falsity in this world, because history is not a fact, it may actually not describe the reality, It's the telling and retelling of it, and it is how human society creates both the foundation and the precedent. The world around us is saturated with information that people see as they are told about it. Reality is indeed multifaceted and the same event can have thousands of interpretations, especially if we have to discuss such serious topics as war, where the parties involved in the conflict have their own points of view and different goals. It is in these different visions and goals that the modern information war is born. For the production of which, even in the 70s of the last century, when the mentioned term was first uttered, it was no stranger to demonizing the opponent, accusing him of cruelty, hyperbolizing the current situation or meta-propaganda, when the opponent's propaganda is exposed and discredited. These technologies have become somewhat obsolete and obsolescent targets during the current war. The reality created in the modern world, the technological revolution, the ease of receiving information and the media, all at the same time and separately, have put new demands on today's world. In response to these demands, changes were inevitable. Not only everyday life has changed, but also the logic of war, and the theory that was used in the pre-planning of combat operations is no longer necessary.

As American military analyst Frank Hoffman writes,

2 HYBRID WAR IN RUSSIAN MILITARY THEORY, 2017.

"Hybrid warfare is a mixture of the lethality of state conflicts and fanatical, protracted unconventional warfare." He notes that this war has been waged by non-state actors in the past, but with less force, and now the combination of available weaponry and communications networks leads to such lethality. In his work "Hybrid Warfare and Challenges" (Hoffman, F.G. Hybrid Warfare and Challenges),[3] he says that in future wars, traditional and unconventional warfare will be combined. thanks to this, we will see the fusion of the lethality characteristic of traditional conflict and the fanaticism of irregular combat. Hybrid warfare is the face of the modern world: advanced, all-out-to-win, focused on the quick results of thought and choice.

In January 2022, the West sounded the alarm about disinformation propaganda launched by Russia against Ukraine. It was clear that Russia was creating an information springboard to launch hostilities in Ukraine, but it was unprepared for Ukrainian counter-propaganda.

Russia chose to open the information front on the traditional media - television, which is less popular in the modern world, but easily controlled if you limit the possibility of receiving alternative information.

On February 24, 2022, Roskomnadzor (Roskomnadzor - Federal Service for Supervision of Communications, Information Technology and Mass Media) issued an official request to the media and information resources when publishing publications related to the coverage of the ongoing military events in Ukraine, "to use the information and data they receive only for official From Russian Sources,"[4] and on March 4, Vladimir Putin signed a law that provides for prison terms as a criminal penalty for spreading "inaccurate information" about the actions of the Russian armed forces in military operations.[5]

In accordance with the request of the General Prosecutor's Office of the Russian Federation, Roskomnadzor blocked more than 1500 websites, restricted access to social networks - Facebook, Twitter and Instagram.

The more the Russian information field was closed, the more the Ukrainian side opened access to information, and moreover made the resistance front multilingual, which made the latest information from the front line available on a global scale. Ukraine used online platforms Telegram, TikTok, Facebook, Twitter, and not only used them, but in many cases also changed the function (the same TikTok was given an informational function instead of entertainment). In the digital world, Telegram has been declared to be the main battlefield, where information cannot be sorted or fakes can be controlled, and which blurs the temporal boundary between the event and information delivery. Why Telegram? Because this is the space that did not allow the Russian authorities to use their own platform to arrest people. That is why it has become one of the most popular applications in Russia, where a number of Russian-language news media have placed an apartment. This is the territory occupied by the Ukrainians, and with the right communication, they were able to open a "front of resistance" on all the leading Telegram channels.[6]

What determined the superiority of social networks over other media? And why has it become the most effective mechanism of political mobilization and propaganda in the current war?

We can name several components: brevity of information - a message about the main thing (in one or two sentences), speed of information transmission - simultaneity, unlimited source of information - anyone who has minimal technical capabilities can become a source (for example: a phone connected to the Internet), absence of information filters, interactivity, emotionality - the possibility of self-expression, participation.

If the traditional media - newspapers, magazines, radio, television mainly implies a monologue mode, the Internet space makes a person a participant in the events; Networks primarily require the expression of a human attitude to the event, which is manifested in the simplest actions: likes, reposts, clicks and comments (the ability to express one's opinion). However, it is this simplicity that creates the illusion of involvement, participation and sympathy in this event.

The second circumstance, which makes social networks a means of mobilization, is due to the fact that

3 Ana Abuladze „A new form of conflict – hybrid war", 2016.
4 News of Roskomnadzor: „To the attention of the media and other information resources", 24.02.2022;
5 Lilia Pashkova „ Putin signed the law on punishment for fakes about the actions of the armed forces, 2022
6 NEWS: Roskomnadzor has blocked more than 1,500 sites, 2022.

information in social networks is compressed – reduced to a message, the important is perceived easily, without any effort, with a minimal investment of time. At the same time, being in the "kitchen" gives you the opportunity to increase your importance, raise your self-esteem, discuss events of global importance, become a kind of advisor or expert. "Answer" is not only a response, but also implies a reaction, the possibility of conveying a mood, emotional, direct and often even openly aggressive. Mass people living in social networks become the main target of propaganda, the style of short and noisy information forces them to actively react to this propaganda, they put likes, write comments, paint their avatars in the colors of the Ukrainian flag.

The illusion of an active position is created, which creates fertile ground for mobilization propaganda, which always accompanies wars, including information wars. Social networks become an effective field of mobilization propaganda due to the fact that the distance between opponents disappears, the conditional enemy is closer to you than ever.

"Wars may be won on the battlefield but lost in the minds of people. Information wars follow the entire history of mankind. Initially, these religious and ideological wars were aimed at dissenters with the use of all types and types of repression," Pocheptsov notes.[7]

What is the agenda of the information war, the purpose of which is to prepare public opinion for a logical victory, and its formation is based on the formula of the main value chain:

1. Telegram – a social network as a battlefield, where the "combatant" is any user of the social network (the correspondent on the front was replaced by Telegram News);
2. Attracting the attention of the world community – the effect of mobilization – the expansion of the audience through the media around the victory of one goal – when the digital society affects decision-making – thousands of rallies in support of Ukraine in different countries of the world, world leaders and countries on the front line in support of Ukraine, the decision of the European Union to close the airspace and in history For the first time, they even supplied weapons to Ukraine, mobilizing the world community with weapons and humanitarian cargo to help Ukraine;
3. Create a threat not to cover the goal, but to achieve the goal, not to do it alone and only with your own resources – such a message was included in each speech of the President of Ukraine V. Zelensky to world leaders and the international community – war as a threat to world civilization, European values, nuclear threat, if we don't stop it here, they will reach you tomorrow;

   In Georgia, the response to that was the message "Do you want war?"
4. Transformation of a political leader into a public leader using media technologies – Zelensky – as the Churchill of Tiktok, a public leader (this is how the publicist Geoffrey Salkin christened the President of Ukraine),[8] communication aimed at each citizen, daily appeal to the public, international messages to organizations and executive authorities – the grand master of soundbites, messages carried Down to a few words, short, memorable phrases that the media uses to quote, and these messages are not only for Ukrainians, but he knows that the world is listening to him;
5. Human stories – this applies to all of us (children, women, animals) The dead 6-year-old Sasha, who was searched for by whole Ukraine for a month, the story of the bombing of the maternity hospital and the pregnant woman, the Kharkiv orphanage, the besieged Mariupol, the bombing of the theatre, the Bucha tragedy.
6. Heroism – Ghost of Kiev, Russky Korabl, Warriors of Azovstal;
7. Declared cyber war and cyber security – "Anonymous" their name is Legion – acting in the name of truth, carrying the philosophy of Robin Hood – a cyber society, that unites hackers scattered in different parts of the world.

Anonymous hackers leaked the personal data of 120,000 Russian military personnel. All these soldiers are participating in the war between Russia and Ukraine.

Email addresses of members of the pro-Russian hacking group Killnet. More than a million letters from

7 Pocheptsov, information wars, 2000.

8 Segal „Ukrainian Winston Churchill", 2022;

high government officials, websites of Kremlin and state organizations, Gazprom,

365,000 letters from Russian investment companies, lists of mercenary spies. Central Bank, Public Cameras, etc., and moreover, they issued an appeal, asking the public itself - which object or the person they should make their next target;

8. Using irony to discredit - Memes – Photos with short texts, short videos, gifs based on the Belarusian leader Lukashenko's quote "Now I'll show you where the attack on Belarus was prepared from. And if six hours before the operation, it hadn't been ....." have become unconditional leaders of Tik-Tok, Telegram and Facebook. (Their number exceeded approximately 2,500 units).

Tik Tok - as a whistle-blower and myth-buster - turning invincible Kadyrovians into an army of Tiktokers; Impersonating the invincible Russian army as marauders, washing machine thieves; Shattering the myth of an invincible army with depreciated military equipment, armed with scrap metal and stocked with expired food.

The world media is at war today and will be until the war itself ends. As the President of Russia Vladimir Putin's main media ideologist, Vladimir Salaviov, said in the program: "We are nowhere. We lost the information war completely, we couldn't even lie decently. It is better to leave all this behind, look at the economy, return home, so as not to increase the charge of dissatisfaction in Russia itself."[9] Although the war is still high on the media agenda, it is not over in the 4th space and will not be until it is over in the other three spaces – on the land, sea and air. And if the covid pandemic was under control, the digital war showed us how fragile is the digital environment in which we live and fight, where the decision-maker is never visible, where the digital citizen becomes a digital soldier.

REFERENCES:

- Ana Abuladze „A new form of conflict – hybrid war", http://yata.ge/ge/?p=691 , 2016.
- Giorgi Antadze „To understand hybrid warfare", https://www.geocase.ge/media/223/Hybrid-War_G.-Antadze.pdf, 2020;
- Keti Chokheli , Tamta Rukhadze, The World Health Organization has declared the new coronavirus a pandemic. https://1tv.ge/news/jandacvis-msoflio-organizaciam-akhali-koronavirusi-pandemiad-gamoackhada/, 11.03.2020;
- Lilia Pashkova „ Putin signed the law on punishment for fakes about the actions of the armed forces, https://www.rbc.ru/politics/04/03/2022/622266309a7947453165c594, 2022
- HYBRID WAR IN RUSSIAN MILITARY THEORY, http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/, 2017;
- Real War News of Ukraine, B. P. Solovyov - we lost the war, we can't even lie normally https://www.youtube.com/watch?v=6nRie-xUCRY&t=62s, 2022;
- Edward Segal „Ukrainian Winston Churchill", https://forbes.ua/inside/ukrainskiy-vinston-cherchill-yak-zelenskomu-vdaetsya-govoriti-tak-shchob-yogo-slukhav-ves-svit-06032022-4257, 2022;
- News of Roskomnadzor: „To the attention of the media and other information resources", https://rkn.gov.ru/news/rsoc/news74084.htm , 24.02.2022;
- Pocheptsov G.G. information wars. M.: Refl-book, K.: Vakler, 2000. http://ligis.ru/librari_2/049/contents.html;
- NEWS: Roskomnadzor has blocked more than 1,500 sites, https://www.svoboda.org/a/s-nachala-voyny-roskomnadzor-zablokiroval-bolee-1500-saytov/31781773.html, 2022.

9 Real War News of Ukraine, B. P. Solovyov - we lost the war, we can't even lie normally, 2022.